



საქართველოს აგროარული უნივერსიტეტის

სამაგისტრო პროგრამების დებულება

თბილისი,
2020 წელი



მუხლი 1. სამაგისტრო პროგრამით მისანიჭებელი ხარისხები

- 1.1. დებულებით რეგულირდება ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამები და ასევე ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.
- 1.2. ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გამონაკლისები დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამით.
- 1.3. შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე სტუდენტს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.
- 1.4. სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი პროგრამით.

მუხლი 2. სწავლის ხანგრძლივობა და აკადემიური კალენდარი

- 2.1. სწავლა გრძელდება, როგორც წესი, 4 სასწავლო სემესტრის განმავლობაში.
- 2.2. სემესტრის დაწყებისა და დასრულების თარიღები ქვეყნდება ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ვებ-გვერდზე (www.agruni.edu.ge).
- 2.3. როგორც წესი, საქართველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლით დადგენილი უქმე დღეების განმავლობაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს.
- 2.4. სასწავლო პროცესი წყდება და სტუდენტი ისვენებს წელიწადში ორჯერ - ზამთარსა და ზაფხულში. დასვენების ვადები იცვლება სამაგისტრო პროგრამის ცვლილების შესაბამისად და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მუხლი 3. სასწავლო პროგრამა

- 3.1. სამაგისტრო პროგრამები როგორც წესი შედგება მოდულებისგან, რომლებიც დალაგებულია თანმიმდევრულად შინაარსის მიხედვით, მარტივი საბაზო საგნებისგან შემდგარი პირველი მოდულიდან, რთული, სპეციალიზირებული საგნებისგან შემდგარი ბოლო მოდულამდე.
- 3.2. სასწავლო პროგრამის ცვლილება შესაძლებელია მოხდეს უნივერსიტეტის რექტორის მიერ, რაც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მუხლი 4. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება

- 4.1. სტუდენტს კრედიტები ენიჭება მხოლოდ საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად.
- 4.2. საგნის/სასწავლო კურსის განმეორებით გავლისათვის სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს/სკოლის ადმინისტრაციას.
- 4.3. სტუდენტს უფლება აქვს ერთი და იგივე საგანი/სასწავლო კურსი გაიაროს დამატებით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 75 კრედიტს.
- 4.4. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და გამოიყენება სტუდენტის მიერ გაწეული



საქმიანობის შესაფასებლად. ერთი სასწავლო წლის მანძილზე (2 სემესტრის განმავლობაში) სტუდენტს უფლება აქვს დააგროვოს არაუმეტეს 75 კრედიტისა.

4.5. კრედიტების აღრიცხვა ხდება ორგვარად:

4.5.1. უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული კრედიტი;

4.5.2. სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტი.

4.6. სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტი გულისხმობს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით გავლას (დადებითი შეფასების მიღებას).

მუხლი 5. ECTS კრედიტების ტრანსფერი

5.1. სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ECTS კრედიტები შესაძლებელია აღიარებული იქნეს უნივერსიტეტის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2. კრედიტის აღიარების თხოვნით სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

5.3. უნივერსიტეტმა შესაძლებელია მოითხოვოს სტუდენტის მიერ კურსის ათვისების ფაქტობრივი დადასტურება, რისი ფორმაც შესაძლებელია იყოს გამოცდა, დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა და სხვა;

5.4. უნივერსიტეტი ავტომატურად აღიარებს იმ უმაღლესი სასწავლებლის კრედიტებს, რომელთანაც გააჩნია შესაბამისი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 6. შეფასება და აკადემიური მოსწრების გამოთვლა

6.1. არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

6.1.1. (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;

6.1.2. (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;

6.1.3. (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;

6.1.4. (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;

6.1.5. (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.

6.2. არსებობს ორი სახის ურაცოფითი შეფასება:

6.2.1. (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;

6.2.2. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

6.3. სტუდენტის ცოდნა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებით. დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო. თუ სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად.

6.4. განმეორებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 დღეში.

6.5. სტუდენტს შეუძლია გავიდეს განმეორებით გამოცდაზე თუ მან გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი, ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი და შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგად უგროვდება 41 და მეტი ქულა/% (მათ შორის, 51-

ზე მეტი). ასევე, სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს განმეორებით გამოცდაზე, თუ მან გადალახა შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები და ორივე შეფასების შედეგად უგროვდება 41 – 50 ქულა/%.

6.6. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრები და მიიღო ერთ-ერთი დადებითი შეფასება.

6.7. გამოცდაზე გავლის შეუძლებლობის შემთხვევაში, სტუდენტი მიმართავს ფაკულტეტის ადმინისტრაციას განცხადებით.

6.8. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სასწავლო კურსში/საგანში ჩაატაროს ნებისმიერი ფორმის შუალედური და დასკვნითი შეფასება.

6.9. საგნის/სასწავლო კურსის სილაბუსით დადგენილი შეფასების ფორმები ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში, „გამოცდების ჩატარების წესის“ შესაბამისად. სკოლის/ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ლექტორი და სტუდენტი ვალდებული არიან დაიცვან „გამოცდების ჩატარების წესი“.

6.10. სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასება რეგისტრაციის, ზუსტი აღრიცხვისა და აკადემიური მოსწრების გამოთვლის მიზნით გადაეცემა შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციასა და უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისს. გამოცდის შედეგებს სტუდენტი ეცნობა შეფასების ელექტრონულ სისტემაში (EMIS).

6.11. სტუდენტი უფლებამოსილია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გამოცდების წესის შესაბამისად საგამოცდო ნაშრომის გადამოწმება მოითხოვოს საგნის ლექტორთან.

6.12. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით, სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ლექტორი უფლებამოსილია შეიმუშაოს სტუდენტის შეფასების საკუთარი სისტემა, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ წესებს და დეტალურად იყოს ასახული კონკრეტული საგნის/სასწავლო კურსის სილაბუსში.

6.13. თუ სტუდენტი არ გამოცხადდა დასკვნით გამოცდაზე, იგი ფასდება 0-ით.

6.14. თუ სტუდენტს საგანში მიღებული აქვს F შეფასება, იგი საგანს განმეორებით შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პირველივე შესაძლებლობისას.

6.15. საგნის/სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის მიზნით, სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია ემისის საშუალებით. ემისში რეგისტრაციის გავლის შეუძლებლობის შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისში და წარადგინოს სარეგისტრაციო ფორმა. სარეგისტრაციო ოფისისათვის შევსებული ფორმის წარდგენამდე, სტუდენტმა სარეგისტრაციო განაცხადი შესათანხმებლად უნდა წარუდგინოს შესაბამისი სკოლის/პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს ზემოაღნიშნულ ფორმას.

მუხლი 7. დასკვნითი გამოცდის განმეორებით ჩაბარება.

FX და F შეფასებები

7.1. დასკვნით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს, როგორც წესი, სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, მიეცემა მისი გადაბარების შესაძლებლობა. თუ სტუდენტი არ გამოცხადდა დასკვნით გამოცდაზე, იგი ფასდება 0-ით.

- 7.2. თუ დასკვნითი გამოცდის ქულის ჩათვლით, სტუდენტს აქვს შეფასება FX, მას შეუძლია საგნის გადაბარება უნივერსიტეტის მიერ დადგენილ დროს.
- 7.3. თუ სტუდენტს მიღებული აქვს შეფასება FX, უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს დაუნიშნოს განსხვავებული ფორმატის გამოცდა, სტუდენტის ცოდნისა და საგნის ათვისების დონის დეტალურად შეფასების მიზნით.
- 7.4. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული წესი არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- 7.5. თუ სტუდენტს საგანში მიღებული აქვს F შეფასება, იგი საგანს განმეორებით შეისწავლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული პირველივე შესაძლებლობისას.
- 7.6. სტუდენტს უფლება აქვს განმეორებით ჩააბაროს დასკვნითი გამოცდა:
- 7.6.1. 41-დან 51 პროცენტამდე მიღებული შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება, შესაბამისი საგნის განმეორებით შესწავლის გარეშე;
- 7.6.2. თუ სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების ჯამი 41%-ზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია განმეორებით შეისწავლოს შესაბამისი საგანი.
- 7.7. საგნის/სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის მიზნით, სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისში და წარადგინოს სარეგისტრაციო ფორმა. სარეგისტრაციო ოფისისათვის შევსებული ფორმის წარდგენამდე, სტუდენტმა სარეგისტრაციო განაცხადი შესათანხმებლად უნდა წარუდგინოს შესაბამისი სკოლის/პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს ზემოაღნიშნულ ფორმას.
- 7.8. სადიპლომო ნაშრომში არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა სულ მცირე 3 (სამი) თვის ვადა ახალი ნაშრომის მოსამზადებლად. ნაშრომის წარდგენიდან 2 (ორი) თვის ვადაში უნივერსიტეტი ნიშნავს სადიპლომო ნაშრომის მოსმენას.

მუხლი 8. სამაგისტრო პროგრამის გაუქმება და მობილობა

- 8.1. სამაგისტრო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის გადაყვანას უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამაზე.
- 8.2. სტუდენტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით.
- 8.3. შიდა და გარე მობილობის პროცესის ორგანიზება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული შიდა და გარე მობილობის წესების შესაბამისად.
- 8.4. მობილობასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილება, ფორმდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 9. უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება

- 9.1. სწავლის გადასახადს სტუდენტი სრულად ფარავს მაგისტრატურაში სწავლის განმავლობაში, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.



9.2. ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს უშუალოდ სტუდენტის მიერ ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

9.3. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად; ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო მეორე - უნივერსიტეტს.

9.4. ხელშეკრულებაში სტუდენტმა უნდა მიუთითოს:

9.4.1. სტუდენტის სახელი და გვარი;

9.4.2. სტუდენტის პირადი ნომერი;

9.4.3. სტუდენტის საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

9.4.4. სტუდენტის მიერ არჩეული ფაკულტეტის/სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

9.5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, თუ ამით უმჯობესდება სტუდენტის მდგომარეობა, ასევე იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ცვლილება უნივერსიტეტის წესდებაში, სტუდენტის ეთიკის კოდექსში, გამოცდების ჩატარების წესში და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელ აქტებში.

9.6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაზარდოს სწავლის საფასური, მაგრამ არა უმეტეს წინა სასწავლო წლის საფასურის 12%-ის ოდენობით.

9.7. სწავლის საფასური შეიძლება გაიზარდოს 12%-ზე მეტით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წლიური ინფლაცია ან/და ეროვნული ვალუტის დევალვაცია დოლართან მიმართებაში ოფიციალური მონაცემებით, გადააჭარბებს 12%-ს.

9.8. დამატებითი საფასურის ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, მიმდინარე სასწავლო სემესტრში შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ერთი კრედიტის საფასურზე დაყრდნობით.

მუხლი 10. უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტები

10.1. ნებისმიერ სტუდენტს ან კურსდამთავრებულს შეუძლია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიიღოს მის მიერ მიღებული შეფასებების ფურცელი და სხვა ცნობები.

10.2. სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი გასცემს დამოწმებულ ცნობას სტუდენტის სტატუსის შესახებ. ცნობა გაიცემა სწავლის ფაქტის დასადასტურებლად, მიღებული შეფასებების დასადასტურებლად, GPA-ის დასადასტურებლად და სტუდენტის შესახებ უნივერსიტეტის ხელთ არსებული სხვა ინფორმაციის დასადასტურებლად.

მუხლი 11. დიპლომის მიღებისთვის აუცილებელი მოთხოვნები

მაგისტრის დიპლომის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული კრედიტების აუცილებელი რაოდენობა.

მუხლი 12. გამოცდა

12.1. შუალედური და ფინალური გამოცდები ტარდება წინასწარ დადგენილ დროს.

12.2. გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს როგორც წესი მიეცემა მისი ერთხელ გადაბარების შესაძლებლობა.

12.3. გამოცდაზე დაგვიანების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს დაწეროს გამოცდა, გამოცდისთვის განსაზღვრული დროის დარჩენილ პერიოდში.

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

13.1. სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებულ იქნეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

13.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

13.2.1. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

13.2.2. აკადემიური შვებულება;

13.2.3. სტუდენტის პირადი განცხადება;

13.2.4. უნივერსიტეტისადმი ფინანსური დავალიანების არსებობა;

13.2.5. სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება.

13.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რომლის თაობაზე გამოიცემა რექტორის ბრძანება.

13.4. სტუდენტის აკადემიური შვებულების საფუძველია:

13.4.1. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება;

13.4.2. სავალდებულო სამხედრო სამსახური;

13.4.3. ხანგრძლივი შრომისუნარობა;

13.4.4. ოჯახური პირობები/გარემოებები.

13.5. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს, რომელსაც სურს დროებით არ ისარგებლოს უნივერსიტეტის მომსახურებით, ვალდებულია სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აკადემიური შვებულების აღების თაობაზე წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

13.6. თუ სტუდენტი 13.5 პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს, სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, სტუდენტს არ დაეკისრება მიმდინარე სასწავლო სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება.

13.7. სტუდენტი, რომელიც სტუდენტის სტატუსი შეუჩერების/აკადემიურ შვებულების აღების შესახებ განცხადებას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ, სემესტრის მომსახურება ჩათვლება მიწოდებულად.

13.8. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობაში.

13.9. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, იგი კარგავს შეფასებების მიღების უფლებას და უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი.



13.10. სტატუსის აღდგენის მიზნით, სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

13.11. სტუდენტს სტატუსი აღუდგება უახლოესი სემესტრის დაწყებამდე.

მუხლი 14. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

14.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

14.1.1. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

14.1.2. სამაგისტრო პროგრამის დასრულება;

14.1.3. პირადი განცხადება;

14.1.4. სტუდენტის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც გამორიცხავს სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში;

14.1.5. სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევა;

14.1.6. გარდაცვალება.

14.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო სტუდენტს შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი და ასევე, გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 15. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სტუდენტის ელექტრონული ფოსტა

15.1. საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.agruni.edu.ge.

15.2. სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად გაეცნოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას და თვალ-ყური ადევნოს სიახლეებსა და ცვლილებებს.

15.3. უნივერსიტეტი თითოეული სტუდენტისათვის ქმნის პერსონალურ ელექტრონულ ფოსტას, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტი სტუდენტს უზრუნველყოფს მნიშვნელოვან შეტყობინებებს და სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად გაეცნოს ელექტრონულ ფოსტას.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებანი

16.1. სასწავლო პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს სამაგისტრო პროგრამის დებულების ცვლილებებს. ცვლილებები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

16.2. სამაგისტრო პროგრამის დებულების რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.